

ანგარიში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს შესახებ, თანამშრომლების მიმართ ვადაგადაცილებული ვალდებულებებთან დაკავშირებით

ჩვენ განვახორციელეთ თქვენთან შეთანხმებული და ქვემოთ ჩამოთვლილი პროცედურები შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს (შემდგომში საფეხბურთო კლუბი) მიერ თანდართულ უწყისში ჩამოთვლილი თანამშრომლების (იხ. დანართი 1) მიმართ ვადაგადაცილებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით. ჩვენი დაქირავება მოხდა დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის (ISRS 4400) შესაბამისად, რომელიც გამოიყენება შეთანხმებული პროცედურების შესასრულებლად დაქირავებისას. პროცედურები განხორციელდა უშუალოდ საფეხბურთო კლუბისთვის მის სალიცენზიო განაცხადთან დაკავშირებით და შეჯამდა შემდეგნაირად:

სამუშაოს მოცულობა

ჩვენი სამუშაო შედგებოდა შემდეგი პროცედურებისგან:

1. ლიცენზიის მადიებლის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული თანამშრომელთა უწყისის მიღება.
2. თანამშრომელთა უწყისში ჯამური თანხის შეჯერება 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების „თანამშრომლებთან დაკავშირებულ ვალდებულებების“ თანხასთან.
3. ყველა ან შემთხვევით შერჩეული თანამშრომლების დასტურის წერილების მიღება, შემოწმება და შედარება თანამშრომელთა უწყისში მოცემულ ინფორმაციასთან.
4. თუ 2020 წლის 6 ოქტომბრის მდგომარეობით არსებობს გადასახდელი თანხა, რომელიც ეხება თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ან იურიდიული ვალდებულებებიდან 2020 წლის 31 აგვისტომდე წარმოქმნილ ვალდებულებებს, გარკვევა 2020 წლის 31 აგვისტომდე:
 - (i) მიღწეულია თუ არა შეთანხმება გადახდის გადავადების შესახებ;
 - (ii) ხომ არ წარმოიშვა დავა/საჩივარი/სასამართლო პროცესი ან ხომ არ არის შეტანილი საპასუხო სარჩელი.
5. გადახდების დამადასტურებელი ყველა ან შერჩევითი საბანკო ამონაწერების შემოწმება.

ქვემოთ გიდგენთ ანგარიშს ჩატარებული პროცედურების შედეგების შესახებ:

1. ჩვენ მოვიპოვეთ ლიცენზიის მაძიებლის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული თანამშრომელთა უწყისი (დანართი 1).
2. თანამშრომელთა უწყისში მოცემული ჯამური თანხა შევაჯერეთ 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების „თანამშრომლებთან დაკავშირებულ ვალდებულებების“ თანხასთან. შეუსაბამობა არ გამოვლენილა.
3. ჩვენ მოვიპოვეთ 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით თანამშრომელთა მიმართ არსებულ დავალიანებებზე 67 დასტურიდან 35 თანამშრომლის დასტურის წერილი (დანართი 2), შევამოწმეთ და შევუდარეთ თანამშრომელთა უწყისში მოცემულ ინფორმაციასთან. შეუსაბამობა არ გამოვლენილა.
4. მე-4 და მე-5 საკითხთან დაკავშირებით აღვნიშნავთ რომ 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით კლუბს არ გააჩნია ვალდებულება თანამშრომლების მიმართ. შესაბამისად აღნიშნული პროცედურების ჩატარება შეუსაბამოა.

ანგარიშს თან ერთვის ასევე 2020 წლის 22 სექტემბრით დათარიღებული ცნობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან, სადაც აღნიშნულია რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის უცნობია თანამშრომლებისადმი დავალიანების შესახებ (დანართი 3).

რადგან ზემოაღნიშნული პროცედურები არ წარმოადგენს აუდიტის ან შემოწმების შეთანხმების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განხორციელებულ არც აუდიტს და არც შემოწმებას, ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე რწმუნებულებას საგადასახადო ანგარიშებთან მიმართებაში 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით.

რომ განგვეხორციელებინა დამატებითი პროცედურები ან ჩაგვეტარებინა აუდიტი ან შემოწმება აუდიტის ან შემოწმების შეთანხმების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, შესაძლოა, ყურადღება გაგვემახვილებინა სხვა საკითხებზე, რაზეც თქვენ მოგახსენებდით.

ჩვენი მოხსენება ისახავს მხოლოდ წინამდებარე ანგარიშის პირველ პარაგრაფში მოცემულ მიზანს და განკითვნილია მხოლოდ თქვენი ინტერესისთვის და არ გამოიყენება სხვა რაიმე მიზნით ან სხვა რომელიმე მხარისთვის გადასაცემად. წინამდებარე ანგარიში ეხება მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ ანგარიშგებებსა და პუნქტებს და არ ვრცელდება შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს რომელიმე ფინანსურ ანგარიშგებაზე მთლიანობაში.

მიხეილ აბაიაძე / პარტნიორი / სერტიფიცირებული აუდიტორი

07 ოქტომბერი, 2020 წელი
თბილისი, საქართველო



დანართი 1 - ლიცენზიის მადიებლის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული თანამშრომელთა უწყისი

განზრახ გამოტოვებული. დანართი იხილეთ შემდეგი გვერდიდან